# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 329. კვირა, 10 ივლისი 1905 წ. გაზეთის № 2858

# ლ ი ლ ა

**მოთხრობა ბულგარელ მწერლის ი. გ. გეშოვისა.**

კარლოვის ოლქის სოფელი ბანი მთლად რომ მოგევლოთ, სტაიკოზე უკოჩაღეს ჭაბუკსა და ლილაზე ულამაზეს ქალს ვერსად ჰნახავდით. უიმათოდ სოფლის ახალგაზდობა რომ ერთად შეკრებილიყო, თუ სტაიკო და ლილა არ იყვნენ, ვერ იმხიარულებდნენ და ყველას რაღაც საზოგადო მოწყენა



და-ძმა.—ქანდაკება ოგ. როდენისა.

დაეტყობოდა. ამიტომ ესენიც არ აკლდებოდნენ არც ერთს სასოფლო მეჯლისს და მუდამ იქ გაჩნდებოდნენ, სადაც ამ სოფლის ახალგაზრდობა თავს იყრიდა შესაქცევად და დროს გასატარებლად.

სოფლის მოედანზე, სადაც ხალხი გროვდებოდა, ორიოდე გრძელი სკამი იდგა, რომელსაც მუდამ ამშვენებდნენ სტაიკო და ლილა. ეს სკამები მოწმე იყო მათის სიყვარულისა, აქ გადასცეს ერთმანეთს თავიანთის გულის ნადები...

მთელი სოფელი ერთხმად გაიძახოდა, სტაიკო და ლილა ერთმანერთისთვის გაჩენილანო, მაგრამ ამავე აზრისანი არ იყვნენ მათი მშობლები. სტაიკოსა და ლილას მშობლებს შორის დიდის ხნიდან რაღაც ბრმა, არა-ადამიანური მტრობა იყო. ასეთ მტრობას ხშირად შეჰხვდებით ჩვენს გლეხთა შორის. ამ უაზრო მტრობამ, დიდი ხანია, კავშირი გასწყვიტა ორ ოჯახს შორის. ეს ეღობებოდა წინ სტაიკოსა და ლილას სამუდამოდ შეერთებას. მაგრამ ეს გარემოება მაინც სრულიად უიმედო არ იყო ახალგაზრდა მოტრფიალეთათვის: იმათ სწამდათ, რომ წმინდა და უმანკო სიყვარული თავისას გაიტანდა და დასძლევდა იმათ მშობლებს შორის ჩამოვარდნილს შურსა და მტრობას.

როდესაც სტაიკოს მამა მოკლული ნახეს რომელიღაც ავაზაკის ხელით, ამ ორ ოჯახს შორის დიდის ხნით ჩამოვარდნილი მტრობა თანდათან ჩაჰქრა. ლილას მამამ ბოლოს, როგორც იყო, დალოცა შეყვარებული ქალ-ვაჟი და ამნაირად დასთანხმდა მათს დაქორწინებას. ამის შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლია, ადრე განუტევა სული თვისი...

სტაიკომ ლილა დანიშნა და ჯვრის წერის ვადაც დასთქვეს. ამნაირი შეყვარებულნი, როგორნიც ლილა და სტაიკო იყვნენ, დიდი ხანია ბანელებს არ ენახათ. ეს სიყვარული კი არა, პირდაპირ გაგიჟება იყო! მხიარული სტაიკო გიჟდებოდა ლილას სიყვარულით, ბოლოს ჩუმი და წყნარი ლილა კი ერთი-ორად უხდიდა სიყვარულის ვალს თავისს სტაიკოს. მოხუცებულნი, რომელთაც ახსოვდათ ლილასა და სტაიკოს მშობლების მტრობა, ეჭვიანად თავს აქნევდნენ, როდესაც უყურებდნენ ამ ორ ახალგაზდის თავდავიწყებითს სიყვარულს.

გავიდა რამდენიმე კვირა. სტაიკომ გაიგო, რომ სოფელ კალუგეროვოს მცხოვრები თურქი ოსმანი დაბრუნებულა და სოფელ ბანის ახლომახლო დაძრწისო. ამ თურქზე ეჭვი ჰქონდათ, რომ სტაიკოს მამა მისი მოკლულიაო. სტაიკომ აღთქმა დასდო,—მამიჩემის მკვლელის შურს ვეძიებო, მაგრამ ჯერ საჭირო იყო გაეგო ნამდვილი, თუ ვინ იყო სტაიკოს მამის მკვლელი.

მთელი კვირა დახეტიალობდა სტაიკო მახლობელ ტყეში და სცდილობდა ოსმანს შეჰხვედროდა. ბოლოს, როგორც იყო, მერვე დღეზე მართლა შეჰხვდა ოსმანს ერთის ჰის მახლობლად. (ამ ჰას აღარა ხმარობდნენ, მიტოვებული იყო). სტაიკოს თან ჰქონდა პატარა ჩანთა, რომელშიაც პური და ყველი იყო, და ხელში ჯოხი ეჭირა. სხვა იარაღი არაფერი გააჩნდა. ოსმანი კი შეიარაღებული იყო. მრისხანედ შეჰხედეს ერთმანეთს. სტაიკო პირდაპირ გაეშურა ოსმანისაკენ და ჰკითხა:

— მართლა შენ მოჰკალი მამაჩემი?

— მამაშენის სისხლი ჩემს სინიდისს არ აწევს. მე არ მომიკლავს!—უპასუხა ოსმანმა.



**ნორჩი სიყვარული.**—ქანდაკება თგ. როდენისა.

— თუ შენ არა ხარ მამაჩემის მკვლელი, აჰა, გამომართვი და სჭამე ჩემი პური,—უთხრა სტაიკომ, რომელმაც იცოდა, რომ ერთი ძველი ჩვეულება სასტიკად უკრძალავს ოსმალებს—სჭამონ იმ კაცისაგან მიწოდებული პური, რომლის ნათესავიც მოკლული ჰყავდა.

სთქვა ეს სტაიკომ და ამოიღო ჩანთიდან პური, მოსტეხა ცოტა, დაადო ზედ ყველის ნაჭერი და მიაწოდა ოსმანს.

თურქს ფერი ეცვალა, ცალი ხელი პურის გამოსართმევად გაიშვირა, მაგრამ მეორე ხელი დანაზე გაივლო, ამოიღო ქარქაშიდან და უთხრა:

— ვერ მოგატყუებ; მართალია, მე მოვკალ მამაშენი, მაგრამ ჩემის ნებით კი არა, არამედ მომაკვლევინა შენის საცოლოს მამამ...

ეხლა კი სტაიკოს ეცვალა ფერი. გაფითრდა, როგორც მკვდარი და ყურადღებით მოისმინა ყველაფერი, რაც ოსმანმა უამბო. სტაიკო დარწმუნდა, რომ მისის მამის მოკვლაში დამნაშავე ოსმანი კი არა, ლილას ძმა იყო.

ამ ამბავმა ჩაშალა ქორწინება. სტაიკოს ნათესავებმა გადასწყვიტეს, რომ ლილას შერთვაზე ეხლა ლაპარაკიც მეტი იყო. უნდა დაებრუნებინათ პატარძლისათვის ნიშნობის ბეჭედი, როგორც ჩვეულება მოითხოვდა.

—

მაისის უკანასკნელი დღეები იყო. ბანელების უმთავრესს საცხოვრებელს სახსარს შეადგენს ვარდის ზეთი, რომელსაც ბლომად ამზადებენ და კარგ ფასადაც ჰყიდიან. მაისის ბოლო რიცხვებში ვარდი ილეოდა და ვარდის ზეთის გამოხდის ვადაც გადიოდა. ბაღებში ვარდი თითქმის მოლეული იყო; მხოლოდ აქა-იქ თუ მოსჩანდა ჯერ კიდევ მოუწყვეტელი ყვავილები. ლილა დილა-ადრიანად გავიდა სახლიდან, შევიდა თავისს ბაღში და დაუწყო კრეფა ვარდის ყვავილებს. ვარდის ბუჩქები ორ რიგად იყო ჩამწკრივებული; ლილას ხელში კალათა ეჭირა, მოკრეფილს ვარდებს შიგა ჰყრიდა. წინა ღამით ძლიერი ნამი იყო და ბუჩქ-ბალახები სულ დაესველებინა. ყვავილების კრეფის დროს, ლილა სულ ერთიანად გაიწუწა ნამით. ჰაერი საუცხოვო იყო. ბაღში გაისმოდა სმენის დამატკბობი ფუტკართა ბზუილი. ცა მოწმენდილი იყო. მზე თან და თან აცხუნებდა არე-მარეს, ხან და ხან ბაღზე გადაფრინდებოდა ხოლმე შაშვი და მისი ჩრდილი ლარივით აჩნდებოდა მიწას, მაგრამ მსწრაფლ ჰქრებოდა. მახლობელ ბაღიდან მოისმოდა ბულბულის სასიამოვნო გალობა. წყნარი ნიავი ჰქროდა და ამ ნიავის საშუალებით მოისმოდა მამლის ყივილი და ძაღლის ყეფა.

ლილას თითქმის უკვე გავსებული ჰქონდა კალათა ყვავილებით, როდესაც დაინახა თავისი მეგობარი გასათხოვარი ქალი—დიმიტრა.

ლილკო, შენა?—უთხრა დიმიტრამ.

— მე ვარ!—უპასუხა ლილამ და წელში გაიმართა.

— ლილკო, მართალია, რომ სტაიკომ ნიშნობის ბეჭედი უკან უნდა დაგიბრუნოს?

ლილა წაბარბაცდა და გაწითლდა ისე, როგორც ის ვარდები, რომელსაც ჰკრეფდა და კალათაში ჰყრიდა.

— რა სთქვი, დიმიტრა?—ჰკითხა ლილამ მეგობარ ქალს.

— მე გავიგე,—ვითომ სტაიკო აღარ გირთავს იმიტომ, რომ მამაშენმა მოაკვლევინა ოსმანს სტაიკოს მამა.

ლილას სახეზე ცეცხლის ალი მოედო. ხელები თავზე წაივლო და ხმა-ამოუღებლად, როგორც ვარდების კრეფის დროს, საჩქაროდ გასწია იმ სოფლისკენ, სადაც სტაიკო სცხოვრობდა.

— სად მიდიხარ, ლილკო?—მიაძახა დიმიტრამ მიმავალს.

— იქ მივდივარ; უნდა ვჰკითხო იმას.—უპასუხა ლილამ.

— ვის?

ლილამ პასუხი არ გასცა, მაგრამ დიმიტრამ გაიგო, ვისთვისაც უნდა ეკითხნა და ან სად მიდიოდა.

ლილა, სტაიკოს სახლში ვერა ჰნახავ; დღეს კარლოვოში წავიდა.—ხმამაღლა დაუძახა დიმიტრამ, რადგან ლილა ისე გარბოდა, რომ კარგა მანძილით დაჰშორდნენ ერთმანეთს.

ლილა ერთის წამით გაჩერდა, გაიხედა იმ სოფლისაკენ, საითკენაც მირბოდა, მერე მობრუნდა და დაადგა კარლოვოს გზას.

— ლილკო, ლილკო!—იძახდა დიმიტრა, მაგრამ ლილა უკან არ იხედებოდა და არც პასუხს აძლევდა. ოდესმე გენახებათ, როგორ დადის ღამ-ღამობით სამთვარიოთი შეპყრობილი. ლილა ისე უგრძნობლად გარბოდა, რომ გარშემო ვერაფერს ამჩნევდა. ხელში ვარდით სავსე კალათა ეჭირა. გულს საშინელი წყლული აწვა და სტანჯავდა.

იმ ადგილამდე, სადაც პატარა მდინარე ნევოლია გზატკეცილსა სჭრის, ლილას არც ერთი სულიერი არ შეჰხვედრია, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ვერავის ამჩნევდა.

ნევოლია პატარა მდინარეა. ზაფხულობით თითქმის სრულებით შრება, მაგრამ ეხლა საკმაოდ მოდიდებული იყო, რადგან სამი დღე განუწყვეტლივ სწვიმდა.

ლილა გაჩერდა, დაიხარა წყლისკენ და პირი დაიბანა; რომ გეკითხათ,—რას სჩადიხარო, ვერას გიპასუხებდათ, რადგან თვითონაც არ იცოდა, რასა შვრებოდა. პირის ბანა რომ გაათავა, ხელებით წყალი დალია და ამოისუნთქა.

წმინდა წყალმა იმოქმედა ლილაზე და ცოტათი გონს მოიყვანა.

რისთვის მიაქვს ლილას თან კალათა? ის არა სჯობდა, სახლში რომ დაეტოვებინა? სოფლისაკენ მიიხედა, მაგრამ

ეხლა სოფელი უფრო შორს იყო, ვიდრე კარლოვო, და დაბრუნება აღარ შეიძლებოდა. აი, გამოჩნდა მოშორებით კარლოვო, ცოტაც კიდევ და—ლილა ქალაქში იქნება, ჰნახავს სტაიკოს და მისის საკუთარის პირიდან გაიგებს, რამდენად მართალია ის საშინელი ამბავი, რომელიც დიმიტრამ აუწყა.

ლილამ უფრო ჩქარა გასწია წინ. გადაუხვია გზატკეცილს მარცხნივ, გადავიდა ხიდს, რომელიც ამ მდინარეზე იყო გადებული, და მოჰკურცხლა კარლოვოსაკენ. ამ დღეს კარლოვოში ბაზრობა იყო და გლეხების მთელი ჯგუფი, ბაზრობიდან მომავალი, წინ შეეხეჩა ლილას. ჯერ ერთმა გლეხმა და მერე მეორემ რაღაცა დაუძახა, მაგრამ ლილას არა გაუგონია-რა და არც უპასუხნია. მესამე გლეხმა ხმამაღლა დაუყვირა და ხელით ანიშნა, კალათიდან ვარდები დაგებნაო.

— არა უშავს-რა,—წაიჩურჩულა ლილამ და უფრო მოუჩქარა ფეხს, თითქოს ეშინოდა, არავინ შემაჩეროსო.

კალათა სავსე იყო ვარდებით და რადგან ლილა ფეხაჩქარებით მიდიოდა, ყვავილები ცვივდებოდა და იბნეოდა გზა-გზა.

ლილა შეჰხვდა რამდენსამე თავისს სოფლელსაც. ამათ შეაჩერეს და ჰკითხეს:

— სად მიდიხარ აგრე გაჩქარებით, ლილა?

— იქ მივდივარ; უნდა ვკითხო იმას,—უპასუხა ლილამ და შეუჩერებლივ განაგრძო გზა.

— ვისა?

მაგრამ ლილამ პასუხი არ გასცა და განაგრძო გზა.

მზე მაღლა წამოწეულიყო და ლილას, როგორც თონე, ისე სცემდა თავში მხურვალე სხივებს. თავზე ლილას პატარა მანდილი ჰქონდა წაკრული, რომელიც ნახევრადაც კი არ უფარავდა თავს. ამასთან ლილას გულშიაც ცეცხლი უტრიალებდა და საშინლად სტანჯავდა.

პირი სულ გაუხმა, ტუჩები ეწოდა, მაგრამ არაფერსა ჰგრძნობდა და სულ წინ გარბოდა.

აი სიშინლად დაღლილ-დაქანცულმა მიაღწია კიდეც კაკლის ხეებს და გავიდა ბალაბანოვის ხიდზედ, საიდანაც იწყება კარლოვოში ჩასახვევი გზა. მდინარე სტარა, რომელიც ამ ხიდის ქვეშ მიმდინარეობს, ეხლა ცოტათი გადიდებულიყო და ლილას უზარმაზარად ეჩვენა. წყალი ისე მიშხუოდა, რომ საშინელს ქაფს აყენებდა და აუარებელ ქვებს ერთიმეორეს ახეთქებდა.

ლილა გაიტაცა წყლის შხუილმა, გაჩერდა ხიდის ყურეში და მდინარეში ყურება დაიწყო. მას შემდეგ, რაც დიმიტრამ საშინელი ამბავი შეატყობინა, ლილამ პირველად ეხლა იგრძნო ცოტათი სულის სიმშვიდე და თავისუფლად ამოისუნთქა. ჰგრძნობდა, რომ გრილი ნიავი, რომელიც მდინარიდან უბერავდა, ანელებდა ცეცხლს მისს გულში, ხოლო ტალღების ერთმანეთზე ხათქა-ხუთქი რაღაც იდუმალს ნუგეშს აძლევდა, მწუხარებას უქარწყლებდა.

ლილა გაშტერებული იდგა და აქაფებულ მდინარის ზვირთებს, შესცქეროდა. უცებ უკანიდან მოესმა მამაკაცების ლაპარაკი, რომელშიაც ცხადად გაარჩია თავს ძვირფასის სტაიკოს ხმა. ლილა ვეფხივით შემოტრიალდა,—იმის წინ სტაიკო იდგა.

ლილას თავ-ბრუ დაესხა, უგრძნობლად მიჰვარდა სტაიკოს და კისერზე ჩამოეკიდა. პირისახეზე ცეცხლის ალმული ასდიოდა. ლილამ გააღო გამხმარი ტუჩები და აკანკალებულის ხმით ჰკითხა:

— სტაიკო... გამიგონე, სტაიკო... მართალია, რომ შენ უარს ამბობ ჩემს შერთვაზე?..

— მართალია!—უპასუხა სტაიკომ და ამაყად, სასტიკის გამომეტყველებით, როგორც ყველა მამაკაცი, რომელსაც საყვარელი არსება,—საცოლო მიუტოვებია, განაგრძო თავისი გზა.

ლილა წაბარბაცდა და წაიქცეოდა, რომ ხიდის მოაჯირისათვის ხელის მოკიდება არ მოესწრო. ერთხელ კიდევ გადაიხედა მდინარეში. ცივის წყლის ზვირთები კვლავ ჰრბოდა ქვებზე, ცელქობდა და დახტოდა, ლილას ეჩვენა, რომ იქ იმ ცივს მდინარეში, ის წამალი იყო რომელსაც შეეძლო მისის საშინლად მწვავის სენის განკურნება, მისის მწუხარების შემსუბუქება.

ლილა უგრძნობლად იყურებოდა, მერე მოშორდა ხიდს, ჩავიდა წყლის ნაპირას და დაჰყვა მდინარის კალაპოტს სულ ქვევით და ქვევით, უფრო შორს...

ლილა ისევე ჩქარა მიდიოდა მდინარის ნაპირ-ნაპირ, როგორც მაშინ, როდესაც კარლოვოსაკენ მიეშურებოდა.

ჰგრძნობდა, რომ წყალი თავისკენ იზიდავდა, მდინარე ეძახდა და იწვევდა იმის შემდეგ, რაც სტაიკომ ისეთის ამაყურის კილოთი უარი გამოუცხადა შერთვაზე. ლილას თითქო ესმოდა მდინარის ძახილი: „მოდი ჩემთან, ლილიკო, მოდი; მსურს გულში ჩაგიკრა და ამნაირად შეგაძლებინო, რომ შენს ძვირფას სტაიკოს სამაგიერო გადაუხადო“!

ასე და ამნაირად, ლილა რამდენსამე საათს შეუჩერებლივ განაგრძობდა გზას სულ ქვევით და ქვევით. ცოტას ხნობით შეჩერდებოდა ხოლმე იმ ადგილას, სადაც მორევი იდგა და წყალი ღრმა იყო. ასე იარა იქამდე, ვიდრე არ მიაღწია კარლოვოს ცნობილ წყალვარდნილს, სადაც წყალი დიდის სიმაღლიდან თავ-დაუზოგველად გადაჰხტის კლდეზე და ძირს, უფსკრულ მორევში, ტალღებს ატრიალებს და აქაფებს, თითქოს სდუღსო.



მოხუცი დედაკაცი.—ქანდაკება ოგ. როდენისა.

აქ ლილა გაჩერდა და ჩამოჯდა ქვაზე. იგი გაიტაცა ათასნაირმა ფიქრმა. ლილას სწამდა, რომ ეხლა მისი ბედნიერება ამ მდინარეში იყო, ამ მორევში იმალებოდა.

ლილა ღრმა ფიქრს მიეცა.

რაზე ფიქრობდა ლილა? იმ უსამართლობაზე ხომ არა, რომ ეს წუთი-სოფელი მამებისა და დედების ცოდვებს შვილებს ახდევინებს? თუ იმათს სისულელეზე, რომელნიც, ამ ცოდვების გამო, თავიანთს თავსაც აუბედურებენ და სხვებსაც?!.. რაზე ფიქრობდა, მაშ, ლილა?!

ჰკითხეთ მტრედს,—რაზედა ფიქრობს მაშინ, როდესაც უწყალო ბედი ხელიდანა სტაცებს თავსს გულითადს მეგობარს...

. . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . .

მეორე დღეს, დილით ადრე, კარლოვის წყალვარდნილთან, წისქვილის მოიჯარადრემ დაგუბებულს წყალში დაინახა ლილას უსულო გვამი.

თვითონ ჩავარდა ლილა წყალში, თუ შემთხვევით გადავარდა,—არავინ იცის, როგორც არავინ არ იცის, რამდენად მწვავე იყო ის ცეცხლის ალი, რომელიც ამ მთის მდინარეში ჩაჰქრა.

წინა ღამეს წისქვილი არ მუშაობდა, ჯებირი გადაკეტილი იყო და ამიტომ წისქვილის სათავეში ღრმა მორევი იდგა. წყლის ზემოდ ლილას გვამი ტივტივებდა; გარშემო შემოჰფენოდა ვარდები, რომელიც კალათიდან გადმოცვივნულიყო, და თითქოს ეუბნებოდა: „საბრალო ლილა, რაკი ამხანაგმა, რომელზედაც ოცნებობდი, გულს ხელი გკრა უწყალოდ და მიგატოვა, გვიამხანაგე ჩვენ, დამჭკნარი ყვავილებიო“. ეს ყვავილები ნელ-ნელა უტრიალებდა ლილას გვამს გარშემო, როგორც ერთგული დარაჯი, და ამშვენებდა ცხედარს გვირგვინებითა და მშვენიერის სუნით, რაც ერთი-ორად ალამაზებდა და ასხივოსნებდა საბრალო ქალის ახალგაზდა სახეს, ბროლივით თეთრსა და ყინულივით ცივს.

ვინც კი ჰნახა, ცრემლი ვერ შეიკავა. რომ გენახათ, გეგონებოდათ, ლილა ცოცხალია და ვარდებით დაფენილს ლოგინში წევსო...

**დ. ჯაში.**



— შენ შენი სიცოცხლე სულ სახელისთვის სწერ, ოჯახზე კი სრულიად არა ზრუნავ, ქალები გასათხოვარი გრჩებიან.

— როგორ, განა შენ ჩვენი მწერლობა არაფრად მიგაჩნია?

— რა ჭირია შიგ? მწერალი სულელია, თავისთავსაც აწვალებს და სხვებსაც სტანჯავს, რა არის, სიკვდილის შემდეგ ხალხი ალაპარაკოს...



— მე ჩემს ქალს ვერ მოგცემთ ცოლად.

— რას ბრძანებთ, შეუძლებელია ეგ! მე არ შემიძლიან უიმისოდ ცხოვრება!

— სწორედ მაგისათვის ვერ მოგცემთ ქალს, რომ ვიცი თქვენი ჯიბის ამბავი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

Доз. ценз. Тифлисъ 8 іюля 1905 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.